ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6408885

ნომერი: AR1954700

თარიღი : 14.03.2023

გაცემის თარიღი : 10.04.2023

გაცნობის თარიღი : 10.04.2023

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, მირიან მეფის ქუჩა, N 89;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი მაზიაშვილი პ/ნ 01024037393
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 15 ბ. 16

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2023 წლის 14 მარტის №AR1954700 განმეორებითი განცხადება რომლითაც ითხოვთ სამსახურის 2023 წლის 16 იანვრის №6286287 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

აღნიშნული განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2023 წლის 21 მარტის №6377498 ბრძანებით, 2023 წლის 29 მარტის №6390629 და 2023 წლის 06 აპრილის №6405132 გადაწყვეტილებებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზები და განგესაზღვრათ ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად. კერძოდ, დაგევალათ 0.00 ნიშნულის გეგმაზე მდებარე ავტოსადგომის ფართში დაანგარიშებულიყო „2-3“ ღერძებში მდებარე სავალი ნაწილიც. ასევე, ავტოსადგომის ერთიანი ფართი მონიშნულიყო განსხვავებული ფერით. აგრეთვე დაგევალათ, მოთხოვნის დაზუსტება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
განმეორებით წარმოდგენილ განცხადებაში კვლავ გამოვლინდა ხარვეზები. კერძოდ, 0.00 ნიშნულის გეგმაზე მდებარე ავტოსადგომის ფართში კვლავ არ არის დათვლილი „2-3“ ღერძებში მდებარე სავალი ნაწილი. ამასთან, მოთხოვნის ტექსტში განმარტებულია, რომ „2-3“ ღერძებში მდებარე ფართი არ არის ნაანგარიშები ავტოსადგომის ფართში. შესაბამისად, კვლავ არასწორად არის მოთხოვნილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ფართობები.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, არ იქნა წარმოდგენილი სამსახურის მიერ განსაზღვრული შესწორებული დოკუმენტაცია და სამსახურის მიერ რამდენჯერმე მოხდა ხარვეზების დადგენა, რომელიც განმცხადებლის მიერ არ იქნა გამოსწორებული, სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება 2023 წლის 14 მარტის №AR1954700 განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე.
დამატებით გაცნობებთ, რომ ახალი განცხადების რეგისტრაციის და სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, სამსახური იმსჯელებს განცხადებაში მითითებულ საკითხთან დაკავშირებით და მიიღებს კანონმდებლობის შესაბამის გადაწყვეტილებას.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
